საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2011 წლის 7 თებერვლის
დადგენილება № 393

დოქტორანტის სადისერტაციო თემის
დასახელების და სამეცნიერო ხელმძღვანელის
შეცვლის/დამატების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოს დებულების 5.6., 6.11-6.14 პუნქტების თანახმად, შეიცვალოს სადისერტაციო თემის დასახელება, შეეცვალოს/დაემატოს სამეცნიერო ხელმძღვანელი შემდეგ დოქტორანტებს:

ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამა: ნავთობის და გაზის ტექნოლოგია

1. დოქტორანტ მაია თედეთის შეეცვალოს სადისერტაციო თემის დასახელება, ნაცვლად „ნავთობის ნათელი ფრაქციების გამოსავლიანობის გაზრდა და ბენზინის ფრაქციის გაკეთილშობილება საქართველოს ალუმოსილიკატების თანაობისას“, დაუმტკიცდეს სადისერტაციო თემის ახალი დასახელება: „ნავთობის ნათელი ფრაქციების გამოსავლიანობის გაზრდა, ბენზინის ფრაქციის კატალიზური გაკეთილშობილება და ბიობენზინის მიღება“.

სადოქტორო პროგრამა: პოლიმერული მასალების ტექნოლოგია

2. დოქტორანტ თამარ მემანიშვილს შეეცვალოს სადისერტაციო თემის დასახელება, ნაცვლად ”წამლების მართვადი გამოყოფის ბიოკომპოზიტები ბიოდეგრადირებადი პოლიესტერამიდების საფუძველზე: მიღება და in vitro კვლევა”, დაუმტკიცდეს სადისერტაციო თემის ახალი დასახელება: ”წამლების/ბიოპრეპარატების კონტროლი-რებადი გამოყოფის და უჯრედშიდა ტრანსპორტის ახალი სიტემები ბიოდეგრადირებადი პოლიმერების საფუძველზე”.

სადოქტორო პროგრამა: ფიზიკური ქიმია

3. დოქტორანტ მაია გუგეშიძეს შეეცვალოს სადისერტაციო თემის დასახელება, ნაცვლად „საწარმოო მყარი ნარჩენების ტექნოგენურობის ხარისხის დადგენის ფიზიკურ-ქიმიური პრინციპები”, დაუმტკიცდეს სადისერტაციო თემის ახალი დასახელება: „მყარი ნარჩენების ტექნოლოგიური ნედლეულისადმი მიკუთვნების ფიზიკურ-ქიმიური პრინციპები რუსთავის მეტალურგიული საწარმოს წიდასაყრელის წიდების მაგალითზე”, ხელმძღვანელი სრ.პროფ. ა.სარუხანიშვილი და დაემატოს ახალი ხელმძღვანელი ასოც.პროფ. დ.ერისთავი (მიმართულების ხელმძღვანელთან შეთანხმების საფუძველზე).

სადოქტორო პროგრამა: ნანოქიმია
4. დოქტორანტ ვერა ქინქლაძეს (სადისერტაციო თემა ”სილიციუმის კარბიდის ბაზაზე ნანოკომპოზიტების მიღება და შესწავლა”, ხელმძღვანელი სრ.პროფ. ზ.კოვზირიძე) დაემატოს თანახელმძღვანელი ასოც.პროფ. ნ.ნიჟარაძე (მიმართულების ხელმძღვანელთან შეთანხმების საფუძველზე).

სადოქტორო პროგრამა: გარემოს დაცვა
5. დოქტორანტ თამარ შარაშიძეს (სადისერტაციო თემა – ”მდინარე არაგვის აუზის მონიტორინგი, ანტროპოგენული ფაქტორების ზეგავლენა და მათი აღმოფხვრის შესაძლებელი ღონისძიებები”, ხელმძღვანელი სრ.პროფ. შ.ანდღულაძე) დაემატოს თანახელმძღვანელი ასოც.პროფ. ლ.გვერდწითელი (მიმართულების ხელმძღვანელთან შეთანხმების საფუძველზე).

სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამა: გეოლოგია
1. დოქტორანტ ირა მშვენიერაძეს შეეცვალოს სადისერტაციო თემის დასახელება, ნაცვლად ”ძირულის კრისტალური მასივის (დასავლეთი საქართველო) გვიანპერ-ცინული კალიუმიანი გრანიტები და მათი როლი”, დაუმტკიცდეს სადისერტაციო თემის ახალი დასახელება: ”ძირულის კრისტალური მასივის (დასავლეთი საქართველო) გვიანჰერცინული კალიუმიანი გრანიტები და მათი როლი მადანგამოვლინებაში”.

2. დოქტორანტ თათია ჯაჯანიძეს შეეცვალოს სადისერტაციო თემის დასახელება, ნაცვლად ”ვაკის, დელისის და დიღმის ჩაკეტილი დეპრესიების საინჟინრო–გეოლოგიური ანალიზი და შეფასება”, დაუმტკიცდეს სადისერტაციო თემის ახალი დასახელება: ”ვაკის, დელისის, საბურთალოს და დიღმის ჩაკეტილი დეპრესიების საინჟინრო-გეოლოგიური ანალიზი და შეფასება”.

3. დოქტორანტ მარინე კუმელაშვილს შეეცვალოს სადისერტაციო თემის დასახელება, ნაცვლად ”აღმოსავლეთი კახეთის მოლასური როფის გეოლოგია და ნავთობგაზიანობის პერსპექტიულობა” დაუმტკიცდეს სადისერტაციო თემის ახალი დასახელება: ”გარე კახეთის მოლასური როფის გეოლოგია და ნავთობგაზიანობის პერსპექტიულობა”.

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამა: ურბანული დაგეგმარება
1. დოქტორანტ ნინო ოქუაშვილს შეეცვალოს სადისერტაციო თემის დასახელება, ნაცვლად ”ქ.თბილისის ქალაქთმშენებლობითი განვითრება 1945-90 წლებში (ეტაპები, ტენდენციები, პროგნოზი)”, დაუმტკიცდეს სადისერტაციო თემის ახალი დასახელება ”ქ.თბილისის ქალაქთმშენებლობითი განვითრება (ეტაპები, ტენდენციები, პროგნოზი)”.

2. დოქტორანტ მაია ჯავახიშვილს შეეცვალოს სადისერტაციო თემის დასახელება, ნაცვლად ”ქალაქის ტერიტორიის ეკოლოგიური შეფასების საკითხები (ეკოლოგიური ზონირება). დაუმტკიცდეს სადისერტაციო თემის ახალი დასახელება: ”თბილისის გარემოს სტრუქტურული ფრაგმენტების ეკოლოგიური და არქიტექტურულ-მხატვრული ფორმირების საკითხები”.

სადოქტორო პროგრამა: სამოქალაქო შენობების ინტერიერი და არქიტექტურული გარემოს დიზაინი
3. დოქტორანტ ავთანდილ დიღმელაშვილს შეეცვალოს სადისერტაციო თემის დასახელება, ნაცვლად ”სივრცითი მოწყობის და ქალაქთმშენებლობის ნორმატიული და მეთოდოლოგიური საკითხები”, დაუმტკიცდეს სადისერტაციო თემის ახალი დასახელება: ”ურბანული გარემოს სივრცითი მოწყობის საკითხები ძველი თბილისის ეზოების მაგალითზე”.

სადოქტორო პროგრამა: არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის ისტორია და თეორია
4. დოქტორანტ ვლადიმერ ლომსაძს შეეცვალოს სადისერტაციო თემის დასახელება, ნაცვლად ”ბეთანიის სამონასტრო ანსამბლი”, დაუმტკიცდეს სადისერტაციო თემის ახალი დასახელება: ”სამების საკათედრო ტაძარი (ტრადიცია და ნოვაციები)”.

ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამა:ისტორია პოლიტიკური და სოციალური მეცნიერებები
1. დოქტორანტ ნინო წერეთელს დაუმტკიცდეს სადოქტორო თემის ახალი ხელმძღვანელი სრ.პროფ. ვაჟა შუბითიძე, ნაცვლად სრ.პროფ. იგორ კვესელავასი და შეეცვალოს სადისერტაციო თემის დასახელება, ნაცვლად ”საქართველოს საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის პრობლემა XX-XXI საუკუნის მიჯნაზე”, დაუმტკიცდეს სადისერტაციო თემის ახალი დასახელება: ”პოლიტიკური კონფლიქტების მართვისა და კონტროლის ტექნოლოგიები”.

ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამა: მართვა ტექნიკურ სისტემებში
1. დოქტორანტ თემურ რიგიშვილს შეეცვალოს სადისერტაციო თემის დასახელება, ნაცვლად “უწყვეტი არასტაციონალური დინამიკური სისტემების იდენტიფიკაცია”, დაუმტკიცდეს სადისერტაციო თემის ახალი დასახელება: „ოპტიმალური მართვის ალგორითმებისა და მოწყობილობების დამუშავება მოსრიალე რეჟიმების გამოყენებით“.

სადოქტორო პროგრამა: ხელოვნური ინტელექტი
2. დოქტორანტ ია ირემაძეს დაუმტკიცდეს სადოქტორო თემის ახალი ხელმძღვანელი სრ. პროფ. ოლეგ ნამიჩეიშვილი ნაცვლად სრ.პროფ. ოთარ ვერულავასი, და შეეცვალოს სადისერტაციო თემის დასახელება, ნაცვლად ”სახეთა ამოცნობა,

ნეირონული ქსელები, მანქანური სწავლების პროცესები სახეთა ამოცნობაში და ნეირონული ქსელები”, დაუმტკიცდეს სადისერტაციო თემის ახალი დასახელება: „ფორმალური ნეირონის გამოყენება გადაწყვეტილებათა მიმღებ საზოგადოებრივ ორგანოებში“,

სადოქტორო პროგრამა: ინფორმაციული ტექნოლოგიები
3. დოქტორანტ ნინო წიკლაურს მეორე ხელმძღვანელად დაუმტკიცდეს ასოც. პროფ. კორნელი ოდიშარია და შეეცვალოს სადისერტაციო თემის დასახელება, ნაცვლად ”სასწავლო პროგრამებში დისციპლინათაშორისი კავშირების ოპტიმიზაციის საფუძველზე სასწავლო პროცესის სრულყოფის მოდელების დამუშავება”, დაუმტკიცდეს სადისერტაციო თემის ახალი დასახელება: „განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ობიექტების უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პრობლემების გადაწყვეტის სისტემის შექმნა“.

4. დოქტორანტ ვლადიმერ ადამიას სადისერტაციო თემის ხელმძღვანელის სრ. პროფ. ილია მიქაძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, დაემატოს მეორე ხელმძღვანელი სრ. პროფ. რევაზ (ივერი) კაკუბავა და შეეცვალოს სადიერტაციო თემის დასახელება, ნაცვლად ”საკომუნიკაციო ქსელების საიმედოობის შეფასებისა და ამაღლების ადაპტური მოდელები”, დაუმტკიცდეს სადისერტაციო თემის ახალი დასახელება: „ინფო–საკომუნიკაციო ქსელების საიმედოობის შეფასებისა და ამაღლების მოდელები“.

სადოქტორო პროგრამა: საზომი ინფორმაციის მიღების ორგანიზაცია, დაგეგმვა, დამუშავება და გამოყენება პროდუქციის ხარისხის კონტროლისა და მართვისათვის
5. დოქტორანტ სოფიო ოქრომჭედლიშვილს ხელმძღვანელის სრ. პროფ. ირაკლი ზედგინიძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, დაუმტკიცდეს ახალი ხელმძღვანელი სრ. პროფ. ირინა ჩხეიძე;

6. დოქტორანტ თამარ მენაბდეს, ხელმძღვანელის სრ. პროფ. ირაკლი ზედგინიძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, დაემატოს მეორე ხელმძღვანელი ასოც. პროფ. რევაზ ჟვანია;

7. დოქტორანტ ნუგზარ გუგუნაშვილს, ხელმძღვანელის პროფ. ირაკლი ზედგინიძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, დაუმტკიცდეს ახალი ხელმძღვანელი ასოც. პროფ. ნონა ოთხოზორია;

სადოქტორო პროგრამა: მყარი სხეულების ფიზიკა
8. დოქტორანტ დავით ხომასურიძეს დაუმტკიცდეს ახალი ხელმძღვანელი მოწვ.პროფ. ნოდარ კეკელიძე, ნაცვლად სრ.პროფ. რაფიელ ჩიქოვანისა.

სადოქტორო პროგრამა: გამოყენებითი მათემატიკა

9. დოქტორანტ თენგიზ ტეტუნაშვილს მეორე ხელმძღვანელად დაუმტკიცდეს ტ.მ.დ. ალექსანდრე ხარაზიშვილი (ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტი), რადგან სტუ–ში გადმოსვლამდე სამუშაოს ნაწილი გაკეთებულია ხარაზიშვილის ხელმძღვანელობით

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე	ა.ფრანგიშვილი
აკადემიური საბჭოს მდივანი	გ.სალუქვაძე